



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 243

2017 წლის 07 მარტი

ქ.ლაგოდეხი

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთვრობო სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება, დანართის შესაბამისად.

საფუძველი: ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსისი მოხსენებითი ბარათი N497 - 2017 წლის 07 მარტი.

მუხლი 2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს გამგებლის მოადგილეს ალექსი ჭანკოტაძეს.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი



რელიეფის გამშურია